Parasport development centre of Tbilisi
Digitally signed by Parasport development centre of Tbilisi
Date: 2019.03.01 00:47:46 -08'00'

ხელშეკრულება #30

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

"1" მარტი" 2019 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი" (მის:თბილისი, ზელიაშვილის . #5, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი-TRESGE22, სახ.კ-741837519,სკ-400098443), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი დირექტორის **შალვა მაისურაძის** სახით და სს **„სადაზღვევო კომპანია ალფა"** (მის: ქ. თბილისი,ალ ყაზბეგის ქ. #16, ტელ.: 2 640 640, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. ანგ. #GE33VT7588888888888888, სს ვითიბი ბანკი (საქართველო), კოდი UGEBGE22, სკ: 204568896) შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად"**, წარმოდგენილი **გენერალური დირექტორის კახაბერ დიასამიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც `მხარეები~, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 `დღე~, `კვირა~, `თვე~ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 "მომსახურება" _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5 მიმწოდებელი (მზღვეველი) **სს „სადაზღვევო კომპანია ალფა "**, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და გადასცემს შემსყიდველს (დამზღვევს) ავტომობილის დაზღვევის პოლისს;

1.6 შემსყიდველი (დამზღვევი) - პირი, რომელიც ამ პირობებით და კანონმდებლობის მიხედვით, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ავტომობილს აზღვევს მიმწოდებელთან (მზღვეველთან) და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

1.7 მოსარგებლე - პირი, რომელიც ამ პირობების თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;

1.8 სადაზღვევო პოლისი - დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც თან ერთვის ავტომობილის დაზღვევის პირობები და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.9 სადაზღვევო თანხა - სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი. სადაზღვევო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ავტომობილის საბაზრო ღირებულებას. ამასთან სადაზღვევო თანხა წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმების საგანს და აღინიშნება კონკრეტულ პოლისში;

1.10სადაზღვევო ღირებულება - დანართი #1-ით (რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) განსაზღვრული ავტომობილის ღირებულება;

1.11 სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა ან ქონება, რომელიც მიმწოდებლისაგან (მზღვეველისაგან) ეკუთვნის დამზღვევს (დაზღვეულს) წინამდებარე პირობების საფუძველზე;

1.12 განადგურება - ავტომობილის განადგურებად ითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება, მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს;

1.13 სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს შემსყიდველმა (დამზღვევმა) მიმწოდებელს (მზღვეველს) ავტომობილის დაზღვევის საფასურად - დაზღვევის ღირებულება. პრემია

ანგარიშდება დაზღვევის კონკრეტული ობიექტის, რისკებისა და სხვა შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. პრემიის ოდენობა განისაზღვრება ავტომობილის დაზღვევის შესაბამისი პოლისით;

1.14 შემთხვევა - წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული რისკებით გამოწვეული გარემოება;

1.15 სადაზღვევო შემთხვევა - შემთხვევა, რომლის დადგომისას წინამდებარე პირობები ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას და რომელიც დასტურდება მიმწოდებლის (მზღვეველის) მიერ შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის სარჩელის აქტით (დოკუმენტი ზარალის ანაზღურების შესახებ);

1.16 სადაზღვევო რისკი – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. სადაზღვევო რისკები განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით;

1.17 ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177–179-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედებები;

1.18 უბედური შემთხვევა - შემთხვევა, როდესაც ზიანი მიადგა დაზღვეულ ავტომობილში მყოფი მძღოლის და მგზავრების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ავტომობილის მართვისას;

1.19 უფლებამოსილი მძღოლი - ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი" სისტემის ყველა თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია მოქმედი ავტომობილის მართვის მოწმობა (მათ შორის შტატგარეშე მოსამსაურეები);

1.20 მესამე მხარე - ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომლის ჯანმრთელობა ან ქონება დაზიანდა დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ დაზღვეული ავტომობილის და მგზავრების და მძღოლის, შემსყიდველის (დამზღვევის) ოჯახის წევრების;

1.21 მესამე პირის წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობა - დაზღვეულის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის ავტომობილით მიყენებული ზიანისათვის (ეს პირობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ზიანის დადგომის მომენტისათვის იმყოფებოდნენ დაზღვეულ ავტომობილში, მათთვის მიყენებული ზიანი განიხილება, როგორც უბედური შემთხვევა);

1.22 საბაზრო ღირებულება - ავტომობილის საბაზრო ღირებულება დაზღვევის მომენტისათვის, ანუ თანხა, რომლითაც საქართველოს ბაზარზე დაზღვეული ავტომობილის იდენტური პარამეტრების, სპეციფიკაციის და მონაცემების მქონე ავტომობილის შეძენაა შესაძლებელი;

1.23 აქსესუარი - ავტომობილის ნაწილი/დეტალი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ავტომობილის გამართულ მუშაობას, მათ შორის მხოლოდ ქარხნული კომპლექტაციის მიხედვით.

1.24 ცალკეული დეტალები - კანტები, მოლდინგები და პლასტმასის სხვა დეტალები, საბურავები, დისკები და მისი საფარები, შუშის საწმენდები, ემბლემები, ანტენები, სხვა სახის დეკორატიული დეტალები;

1.25 ცალკეული დაზიანება - ავტომობილის დეტალის/ნაწილის შემთხვევითი გარეგანი დაზიანება, რაც არ არის გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევით;

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დანართი #1-ით განსაზღვრული ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი"-ს კუთვნილი (7 (შვიდი) ერთეული ავტომობილი) ძრავიანი ავტომობილების სრული დაზღვევა, სადაზღვევო შემდეგი რისკებისაგან (CPV კოდი - 66514110)

1. ავტომობილის გატაცება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
2. ავტომობილის დაზიანება ან განადგურება (რაც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით, ხანძრით, თვითაალებით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, ორმოში ჩავარდნით, სტიქიური უბედურებებით მათ შორის მიწისძვრით, წყალდიდობით, სეტყვით, ან უბედური შემთხვევით (მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც გამოიწვია დაზიანება გარეშე და აშკარა მიზეზებით);
3. დამატებითი აღჭურვილობის, მინების, სარკეების და ა.შ. ქურდობა;
4. ავტომობილის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები;
5. უფლებამოსილი მძღოლების და მისი მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან;
6. მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა.

3. დაზღვევის ტერიტორია

3.1 დაზღვევის ტერიტორიაა საქართველო (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა), სომხეთის რესპუბლიკა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა (მთიანი ყარაბაღის გარდა), თურქეთის რესპუბლიკა.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი და 32 თეთრი.**

4.2 მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი (მზღვეველი) ვალდებულია:

ა) განიხილოს შემსყიდველის (დამზღვევის) პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ბ) განახორციელოს ავტომობილის დაზღვევა **ნულოვანი ფრანშიზით;**

გ) დაზღვევის დამადასტურებლად გასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

დ) შეადგინოს სადაზღვევო დოკუმენტი ზარალის ანაზღაურების შესახებ, განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, ავტომობილის დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო პოლისის შესაბამისად;

ე) განახორციელოს უფლებამოსილი მძღოლის და მისი მგზავრების უბედური შემთხვევის, სიცოცხლის დაზღვევის ანაზღაურება, დამადასტურებელი დოკუმენტის კანონიერ ძალაში შესვლიდან და შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მოწოდებიდან 48 საათის ვადაში (ლიმიტი 20 000 ლარი ჯამურად). დაზღვევა ფარავს უფლებამოსილი მძღოლის და მისი მგზავრების ჯანმრთელობაზე მიყენებული ფიზიკური ზიანით გამოწვეულ სამედიცინო ხარჯებს;

ვ) მესამე პირთა წინაშე დაზღვეული პასუხისმგებლობის რისკზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის პასუხისმგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი) კანონიერ ძალაში შესვლიდან და შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მოწოდებიდან 48 საათის ვადაში (ლიმიტი 20 000 ლარი ჯამურად);

ზ) მიმწოდებელი (მზღვეველი) იღებს ვალდებულებას, რომ იმ ავტომობილის შეკეთებას, განახორციელებს (აანაზღაურებს) შესაბამის სერვის ცენტრში ან შემსყიდველთან შეთანხმებულ სერვის ცენტრში;

თ) მიანიჭოს პრიორიტეტი შემსყიდველის ავტომობილს, რაც გულისხმობს შეკეთების მომსახურების უმოკლეს ვადებში დაწყება-დასრულებას, აგრეთვე უზრუნველყოს 24 საათიანი ასისტანსი;

ი) უზრუნველყოს დაზარალებული მესამე პირის შემთხვევის ადგილიდან რეანიმობილით ტრანსპორტირება შესაბამის კლინიკაში და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯის ანაზღაურება სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში (იმ შემთხვევაში თუ ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას დაზღვევის პირობების და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად), დაზარალებულის ნებისმიერი სახით მონაწილეობის გარეშე;

კ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2019 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით;

ლ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი (დამზღვევი) ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) შეატყობინოს მიმწოდებელს (მზღვეველს) უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის;

გ) გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ვადებში;

დ) მიმწოდებლის (მზღვეველის) წარმომადგენლის (აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების წარმომადგენლის) შემთხვევის ადგილზე გამოცხადებამდე არ მოახდინოს ზიანის დადგომის მომენტში არსებული ვითარების შეცვლა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვის, საგზაო მოძრაობის განტვირთვის, ზარალის ოდენობის შემცირების ან ზიანის შემდგომი განვითარების თავიდან აცილების მიზნით);

ე) დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს (მზღვეველს) ავტომობილის ექსპლუატაციის პირობებში ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ, მათ შორის:

ე.ა) სხვა პირისათვის სარგებლობაში, მფლობელობაში, საკუთრებაში ან მინდობილ საკუთრებაში გადაცემა;

ე.ბ) აღრიცხვიდან მოხსნა ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში სათანადო წესით გადაფორმება;

ე.გ) ტექნიკური პასპორტის, რეგისტრაციის მოწმობის, სანომრე ნიშნის შეცვლა ან დაკარგვა.;

ვ) დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს (მზღვეველს) ავტომობილის დაზღვევის განაცხადში ან საიდენტიფიკაციო მონაცემებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

ზ) უფლებამოსილმა მძღოლმა თან უნდა იქონიოს ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა, (რომელიც სავალდებულო წესით შემთხვევის დადგომისას უნდა წარმოადგინოს მიმწოდებელთან (მზღვეველთან)

თ) უფლებამოსილმა მძღოლმა შემთხვევის დადგომისთანავე განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახანძრო ინსპექცია და სხვ.) და მიმწოდებლის (მზღვეველის) ცხელ ხაზზე, ხოლო არაუგვიანეს 48 საათისა წარუდგინოს მიმწოდებელს (მზღვეველს) წერილობითი განაცხადი ზარალის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით, მიმწოდებლის (მზღვეველის) მიერ დადგენილი ფორმით (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც აღნიშნულის გაკეთება შეუძლებელია შემსყიდველის (დამზღვევის) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ შემთხვევაში მიმწოდებლისათვის (მზღვეველისათვის) ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია განახორციელოს შემსყიდველის (დამზღვევის) წარმომადგენელმა);

ი) დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმწოდებელს (მზღვეველს) სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოქმედების (გამოძახება დათვალიერების ჩასატარებლად, გამოძიება, გამოძახება სასამართლოში და სხვ.) დაწყება დამდგარი შემთხვევის ფაქტზე;

კ) დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს (მზღვეველს) მესამე პირისაგან ოფიციალური პრეტენზიის მიღების შესახებ;

ლ) წინამდებარე პირობებითა და ავტომობილის დაზღვევის პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას მიმწოდებელს (მზღვეველს) წარუდგინოს:

ლ.ა) წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;

ლ.ბ) ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა;

ლ.გ) მძღოლის მართვის მოწმობა;

ლ.დ) მძღოლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;

ლ.ე) კომპეტენტური ორგანოების (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახანძრო ინსპექცია და სხვ.) მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის ან შესაძლებლობის შემთხვევაში);

მ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

6.1 სრული განადგურების შემთხვევაში იდენტური ან გაუმჯობესებული დაუზიანებელი მოძრავი ნივთი დამზღვევს გადაცემა 6.3 პუნქტით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, რის შემდეგადაც განადგურებული მოძრავი ნივთი საკუთრებაში გადაეცემა მზღვეველს;

6.2 ავტომობილის განადგურებად ითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება, მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს. სრული განადგურების შემთხვევაში იდენტური დაუზიანებელი მოძრავი ნივთის დამზღვევისათვის გადაცემისთანავე, დაზიანებული მოძრავი ნივთი საკუთრებაში გადაეცემა მზღვეველს

6.3 სადაზღვევო შემთხვევის შესახებ, შემსყიდველის (დამზღვევის) მიერ წერილობითი შეტყობინების დღიდან მიმწოდებელი (მზღვეველი) ვალდებულია არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ და გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა მოხდეს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების და ხელშეკრულების კონტროლის წესი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია **წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი)** დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

7.3 თუ ამ მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7.5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და მომსახურების მიღებას აწარმოებს: ააიპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი“ - ს მძღოლ პერსონალ ასისტენტი უშანგი ზაალიშვილი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო - **ადგილობრივი ბიუჯეტი.**

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და (დ.ღ.გ-გადამხდელის შემთხვევაში) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან ან (დ.ღ.გ-ს არ გადამხდელის შემთხვევაში) სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან **10 (ათი)** სამუშო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის „ე", „ვ", ,,ლ" ქვეპუნქტებით და მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს (მზღვეველს) ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

11.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს (მზღვეველს) ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ შემსყიდველი (დამზღვევი) და მიმწოდებელი (მზღვეველი) ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს (მზღვეველს), ხოლო ორი - შემსყიდველს (დამზღვევს).

შემსყიდველი

აარპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი",
მის: თბილისი, ბელიაშვილის . #5;
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი-TRESGE22,
სახ.კ-741837519
სკ-400098443.

მიმწოდებელი

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა",
მის: ქ. თბილისი,ალ ყაზბეგის ქ. #16,
ტელეფონი: 2 640 640;
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. # GE33VT7588888888888888,
სს ვითიბი ბანკი (საქართველო), კოდი UGEBGE22,
სკ: 204568896.

დირექტორი:
შალვა მაისურაძე

გენერალური დირექტორი:
კახაბერ დიასამიძე

#	ა/მ მარკა	სახ.#	გამოშვების წელი	საბაზრო ღირებულება (ლარი)	წლიური % (365 დღე)	ერთი თვის მომსახურების ღირებულება	ღირებულება (59 დღე)
1	FORD TRANSIT	UU113VV	2016	45000	2.756%	750,16	1500,32
2	FORD TRANSIT	UU114VV	2016	45000			
3	FORD TRANSIT	UU115VV	2016	45000			
4	FORD TRANSIT	UU116VV	2016	45000			
5	HYUNDAI H1	AH640HA	2015	62000			
6	KARSAN JEST	AH307HA	2014	75000			
7	TOYOTA CAMRY	QBB848	2006	10000			
ჯამი				**327000**			1500,32

შემსყიდველი

ააიპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი“,
მის: თბილისი, ბელიაშვილის . #5;
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, კოდი-TRESGE22,
სახ.კ-741837519
სკ-400098443.

მიმწოდებელი

სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“,
მის: ქ. თბილისი,ალ ყაზბეგის ქ. #16,
ტელეფონი: 2 640 640;
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. # GE33VT7588888888888888,
სს ვითიბი ბანკი (საქართველო), კოდი UGEBGE22
სკ: 204568896.

დირექტორი:
შალვა მაისურაძე

გენერალური დირექტორი:
კახაბერ დიასამიძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2019 წლის „1'' „მარტი''

ვადასტურებთ, რომ 'სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ა(ა)იპ **„თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი"-ს კუთვნილი ძრავიანი ავტომობილების სრული დაზღვევის მომსახურების** შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ შალვა მაისურაძე

მიღება-ჩაბარებაზე და ხელშეკრულების შესრულებაზე
უფლებამოსილი პირი

_____ უშანგი ზაალიშვილი